ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010105644698615

№16/76703

11 / დეკემბერი / 2015 წ.

ნიკოლოზ საღარაძე, იოსელიანის ქ #37, ბ10

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #19041/12 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი ,, 2" (ორი) ფურცელი

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-19041/12
„ 10 „ 12 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ქუჩა აბასთუნამი, №6-8/ქუჩა ცაბაძე №19-ში (საკ. კოდი №01.13.07.022.092), მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო ცენტრი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1633943 16.12.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ქუჩა აბასთუნამი, №6-8/ქუჩა ცაბაძე №19-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„ა-ზ" ფასადზე: „გ-დ" მონაკვეთში სლაიდური კარის ნაცვლად მოწყობილია ორფრთიანი კარი. „ა-ბ" მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი. დამატებით მოწყობილია სარეკლამო აბრები.

+0.00 ნიშნულზე „3-4" და „11-12" მონაკვეთებში გაუქმებულია კიბის უჯრედები. „$ბ^1$-$გ^1$" ღერძებზე „1-2" მონაკვეთში გაზრდილია კედლებს შორის მანძილი. „2-3" მონაკვეთში გაუქმებულია კარები.

„02-02" ჭრილზე: შემცირებულია ვიტრაჟების სიმაღლე და შეცვლილია მათი ნახატი. შენობაში ნაწილობრივ . შეცვლილია კოლონების მდებარეობა. შემცირებულია პოლიკარბონატის გამჭირვალე გადახურვის და +3.045 ნიშნულზე სართულის სიმაღლე. კიბის უჯრედებში გაზრდილია საფეხურების რაოდენობა.

შემცირებულია შენობის გაბარიტები, რის გამოც შემცირებულია ფართი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ბიზნესი"-ს, ნიკოლოზ საღარაძეს, ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ქუჩა აბასთუნამი, №6-8/ქუჩა ცაბაძე №19-ში (საკ. კოდი №01.13.07.022.092) მდებარე

მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო ცენტრი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19041/12 10.09.2015წ. განცხადება.
№წ-19041/12 17.09.2015წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**